



ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (EPI)

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (EPI)

ავტორი: ია იაკობაშვილი

გლობალური დატობის საკითხის აქტუალიზაციის პარალელურად სულ უფრო ხშირად ისმის მოწოდებები მწვანე ინიციატივების განხორციელების შესახებ. ზოგადად, ტერმინი „მწვანე“ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, მდგრად მართვასა და ჯანსაღ ეკოსისტემასთან დაკავშირებული საკითხების აღსანიშნავად გამოიყენება. 21-ე საუკუნეში ამ თემებმა საქმიანობის თითქმის ყველა სფერო მოიცვა. 2002 წელს პირველად გამოქვეყნდა იელის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (EPI), რომელიც 32 კრიტერიუმის მიხედვით ზომავს მწვანე ეკონომიკის დონეს 180 ქვეყანაში.

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (EPI) გარემოსდაცვითი მდგრადობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს ეფუძნება, რომელიც თავის მხრივ ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა. ესენია: კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, ჰაერის და წყლის ხარისხი.

გარემოსდაცვითი მდგრადობის განმსაზღვრელი ოთხი კრიტერიუმი:



კლიმატის ცვლილება



ბიომრავალფეროვნება



ჰაერის დაბინძურების ხარისხი



წყლის დაბინძურების ხარისხი

წყარო: visualcapitalist.com

2020 წლის მწვანე ქვეყნები ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (EPI) მიხედვით

მდგრადი განვითარების პრინციპებით ხელმძღვანელობა პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში, როგორც წესი, დადებითად აისახება ქვეყნის სოციალური კეთილდღეობასა და სიმდიდრის მაჩვენებელზე. იმავეს მოწმობს ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (EPI) შედეგებიც. 2020 წელს ინდექსის პირველ ხუთ ადგილს **დანია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი** იზიარებენ.

აღსანიშნავია, რომ ლიდერი მწვანე სახელმწიფოები, გარემოსდაცვითი განვითარების ოთხივე კრიტერიუმში მაღალი ქულებით ფასდებიან, მაშინ როდესაც სიის ბოლოს მყოფი ქვეყნები გარემოსდაცვითი პოლიტიკის არასტაბილური და სუსტი იმპლემენტაციით ხასიათდებიან.

ხუთი ლიდერი ქვეყანა ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (EPI) მიხედვით:

ადგილი EPI ინდექსში	ქვეყანა	EPI ინდექსის მიერ მინიჭებული ქულა
1	დანია	82.5
2	ლუქსემბურგი	82.3
3	შვეიცარია	81.5
4	დიდი ბრიტანეთი	81.3
5	საფრანგეთი	80

წყარო: visualcapitalist.com

საქართველო და ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (EPI)

2020 წლის მონაცემებით, საქართველო ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსით (EPI) შეფასებულ 180 სახელმწიფოს შორის 102-ე ადგილზეა. ამ მონაცემებით ქვეყანა ჩამორჩება სომხეთს და აზერბაიჯანს, რომლებიც სიაში შესაბამისად 72-ე და 53-ე ადგილებს იკავებენ.

სიმწვანის საფასური

ინფრასტრუქტურული ხარჯების გაწევის ფინანსური შესაძლებლობა ერთ-ერთი ახსნა იმისა, თუ რატომ არიან განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები სიის სათავეში. გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, დაწყებული ჰაერის დაბინძურების შემცირებიდან და დამთავრებული სახიფათო ნარჩენების მართვით, დიდ ხარჯებს მოითხოვს. მაგრამ ამ ქმედებათა გრძელვადიანი სარგებელი მოსახლეობაზე შეუფასებელია.

აღწერილ დამოკიდებულებას მარტივად შევამჩნევთ თუ თვალს გადავავლებთ ინდექსის ლიდერი სახელმწიფოების მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე.

EPA ინდექსის ლიდერი სახელმწიფოების მშპ ერთ სულ მოსახლეზე (გამოხატული ათას ლარში):


ქვეყანა	EPA ინდექსის ქულა	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
დანია	82.5	60,170
ლუქსემბურგი	82.3	114,705
შვეიცარია	81.5	81,994
დიდი ბრიტანეთი	81.3	42,330
საფრანგეთი	80	40,494

წყარო: visualcapitalist.com



¹PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
რაფიელ ერისთავის ქ.16
თბილისი, 0179, საქართველო



¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com